ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №17

22 დეკემბერი, 2022 წელი
11:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/032234158-03; 07.12.2022 განხილვა (გოჩა ჩოგოვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

მომხსენებელი: მანანა ბეგიაშვილი

თანამდებობა: განმცხადებლის (ირაკლი ჩოგოვაძე) რწმუნებული/წარმომადგენელი (სანოტარო მოქმედების რეესტრის №221669952; 07.12.2022; ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი).

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032234375-03; 09.12.2022).

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

თანამომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლის წარმომადგენელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ

საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები; როგორც კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას, რომელსაც თან უნდა ერთოდეს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

აკადემიკოსის ბიოგრაფიაზე ისაუბრა მანანა ბეგიაშვილმა, რომლის განცხადებით, პროფესორმა გოჩა ჩოგოვაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის სამრეწველო ობიექტების მართვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნის და გაანგარიშების თეორიასა და პრაქტიკაში. 1981-1986 წლებში, გოჩა ჩოგოვაძე მუშაობდა საფრანგეთში, პარიზში, იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად. 1988-1986 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი. 1994 წლიდან აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთსა და ესპანეთის სამეფოში. აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძე საპატიო ნიშნითა და ღირსების ორდენებითაა დაჯილდოებული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებულ დამსახურებისათვის, დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით იგი 2001 წელს უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ წარმოდგენილი განცხადება გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ იმსჯელოს გოჩა ჩოგოვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032234375-03; 09.12.2022).

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, 2023 წელსაც, გასული წლის მსგავსად, შეუფერხებლად გაგრძელდება დედაქალაქში შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა, საერთაშორისო და ადგილობრივი ფესტივალების განხორციელება, თბილისის დამეგობრებულ ქალაქებთან და დედაქალაქისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქებთან კულტურის სხვადასხვა სფეროს ღონისძიებების ორგანიზება, თეატრალური და სახელოვნებო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების

ხელშეწყობა, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების რელიგიური ღონისძიებების და კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა, ხელოვნების სკოლების რეაბილიტაცია და თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართობის (თბილისის საკრებულოს შენობა) სამუზეუმო სივრცედ მოწყობა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 438 775,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 193 357,4 ათასი ლარით.

გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის – „მეტის სიცოცხლე ყველა უბანში" გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა – 522,096.4 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება – 243,813.7 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 211,901.7 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა – 2,029.5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 38,696.3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 144,160.7 ათასი ლარი;
- განათლება – 225,917.8 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 52,531.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 11,436.8 ათასი ლარი;
- ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 179 548,3 ათასი ლარი.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილში, გაიოზ თალაკვაძის განცხადებით, განათლება დაიგეგმა – 225 917,8 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (208 486,9 ათასი ლარი) გაზრდილია 17 430,9 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 1 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 1 000,0 ათასი ლარით ხოლო **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** – 52 531,4 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (48 805,5 ათასი ლარი) გაზრდილია 3 725,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 9 500,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 1 000,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 3 000,0 ათასი ლარი, სპორტული

დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 500,0 ათასი ლარით.

განათლების სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა“ (კოდი 07 01 02) – 187,300.0 ათასი ლარი;

„ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01) – 100.0 ათასი ლარი;

„მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“ (კოდი 07 03 03) – 5,117.8 ათასი ლარი;

„პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) – 250.0 ათასი ლარი;

„უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“ (კოდი 07 05) – 3,968.0 ათასი ლარი;

„უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01) – 235.0 ათასი ლარი;

„იურიდიული კლინიკა“ (კოდი 07 05 02) – 733.0 ათასი ლარი;

„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“ (კოდი 07 05 03) – 3,000.0 ათასი ლარი;

„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა“ (კოდი 07 06 01) – 3,263.2 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

„თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01) – 3,129.2 ათასი ლარი. მათ შორის, „ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი“ (კოდი 08 01 01) – 747.5 ათასი ლარი, „პანტომიმის სახელმწიფო თეატრი“ (08 01 02) – 464.9 ათასი ლარი, „თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ (08 01 03) – 1,023.4 ათასი ლარი, „სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი“ (08 01 05) – 529.7 ათასი ლარი, „სამეფო უბნის თეატრი“ (08 01 08) – 363.7 ათასი ლარი;

„სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 02) – 2,913.6 ათასი ლარი;

„ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“ (კოდი 08 03) – 3,955.6 ათასი ლარი;

„ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“ (კოდი 08 03 10) – 175.3 ათასი ლარი;

„მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 12) – 3,780.3 ათასი ლარი;

„ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“ (კოდი 08 04) – 3,131.8 ათასი ლარი. მათ შორის, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) – 697.7 ათასი ლარი; „ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“ (კოდი 08 04 03) – 384.1 ათასი ლარი;

„კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04) – 2,050.0 ათასი ლარი;

„კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) – 3,000.0 ათასი ლარი;
„შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი 08 09) – 1,000.0 ათასი ლარი;
„თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“ (კოდი 08 12) – 506.4 ათასი ლარი;
„ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13) –100.0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა